შპს "საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში" განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

მიხეილ სამხარაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

<u>წევრები:</u>

ვანო ოთხოზორია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405318570

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- --- ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს N691 ბრძანების საფუძველზე, შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის" ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2019 წლის 19, 20 და 21 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში, ქალაქ თბილისში (თორნიკე ერისთავის ქ. N5ა).

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ექსპერტებმა შეადგინეს დღის წესრიგი.

2019 წლის 19 აგვისტოს დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, რომელმაც ექსპერტებს გამოუყო სამუშაო ოთახი და მათთან საკომუნიკაციო პირად განსაზღვრა ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, დამტკიცებული პროგრამა და პერსონალის პირადი საქმეები.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით შეამოწმა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაათვალიერა სასწავლო ფართი, ასევე მოინახულა პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს.

ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა მისაღებად მიიჩნიეს ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ჩაინიშნეს ცალკეული საკითხები შემდგომში გასაუმჯობესებლად.

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
ახალი	45	3	15	553,4 კვ.მ	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ N5ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი 2019

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6		
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)		
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ	მუხლი 6 / პუნქტი ბ)		
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)		
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	მუხლი 6 / პუნქტი დ)		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 6 / პუნქტი ე)		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		
2 1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)		
2 1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

	კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ.			
2.1 2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები,	მუხლი 7 / პუნქტი ბ)		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას,	მუხლი 7 / პუნქტი გ)		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)		
2 5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა,	მუხლი 7 / პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი,	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)		
2 6 2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა,	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის,	მუხლი 7 / პუნქტი ზ)		
2 8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)		
2 9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი საქმიანობის გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.	მუხლი 8 / პუნქტი ა)		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი,	მუხლი 8 / პუნქტი ბ)		
3 3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობებისა შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	მუხლი 8 / პუნქტი გ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 20[illegible]

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

"კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, მოდულის „Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა“ სწავლება დაგეგმილია მის წინაპირობა მოდულთან „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ პარალელურად

ქვესტანდარტი 2.1

ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯს“ დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის 5ა მისამართზე არსებული უძრავი ქონება - 553,4 კვ.მ ფართის საერთო მოცულობით, არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ქვესტანდარტი 2.9

დაწესებულების მიერ შემუშავებული ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2015

VI. რეკომენდაციების შეჯამება

მისია: უმჯობესია დაწესებულებამ შეიმუშაოს მისია, რომელიც იქნება მოკლე, მკაფიო და კონკრეტულად კოლეჯის საქმიანობაზე მორგებული.

1.1 თანხვედრაში იქნას მოყვანილი კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების პუნქტები ერთმანეთთან.

საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურები, რომლის მიხედვითაც მოახდენს უზუსტობების ჩასწორებას (პროგრამების მე-4 და მე-7 პუნქტები) დამტკიცებულ პროგრამებში.

უმჯობესია დაწესებულებამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები და დანართები გააფორმოს ბრძანების შესაბამისი რეკვიზიტებით.

საჭიროა დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს სასწავლო გეგმებში მითითებული საათები მოდულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ საათებთან.

საჭიროა დაწესებულებამ მოახდინოს მოდულების და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის" დანართების ადაპტირება სრულად.

სასურველია დაწესებულებამ „საწარმოო პრაქტიკის" და „პრაქტიკული პროექტის" მოდულების განხორციელების მიდგომებში მიუთითოს, რომ აღნიშნული მოდულების სწავლება ხორციელდება საწარმოში, „გაცნობითი პრაქტიკის" შემთხვევაში კი - სასწავლო ექსკურსიების მოწყობა ორგანიზაციებში.

საჭიროა დაწესებულებამ მოდულების დასკვნითი ნაწილი თანხვედრაში მოიყვანოს პროგრამის განმახორციელებელი პირების დანართთან

უმჯობესია დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს პროგრამის განხორციელებისთვის თანამშრომელთა მომზადება; დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი საწარმოებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად, ასევე შიდა მექანიზმები ითვალისწინებდეს პროფესიული მასწავლებლების ვალდებულებას კალენდარული გეგმების შედგენის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნის, მტკიცებულებების შეგროვება შენახვის/პირობებისა და ვადების შესახებ.

საჭიროა დაწესებულებამ კომპანიებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში ასახოს თარიღი, სტუდენტების რაოდენობა, რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებაში გამოთქვამენ მხარეები თანამშრომლობის მზადყოფნას და გაწეროს კონკრეტული მოდულის განხორციელების/მიდგომების პირობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.4 საჭიროა დაწესებულებამ რეგულაციებში სრულად გაწეროს პროფესიული სტუდენტის დამატებით შეფასების უფლებით სარგებლობის და უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები.

საჭიროა დაწესებულებამ რეგულაციებში გაწეროს არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლებისა აღიარების წესი".

საჭიროა დაწესებულებამ მოდულებთან შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და ტერმინოლოგია შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას;

1.5 სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით არსებულის გარდა შეიმუშაოს სხვა მექანიზმებიც.

1.6 უმჯობესია დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში მიუთითოს რა ფორმით ჩაატარებს გამოკითხვებს და ტერმინოლოგია შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას;

2.8 საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს დომეინის გამოყენების უფლების ამსახველი დოკუმენტის გაფორმება

საჭიროა დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და სტრუქტურა.

3.1 რეკომენდაცია: უმჯობესია დაწესებულებამ განიხილოს დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის დამყარების კანონით განსაზღვრულთაგან ერთ-ერთი ფორმის გამოყენება

3.3 საჭიროა დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პროგრამის მდგრადობის მიზნით, გაახანგრძლივოს პროგრამის დასრულებამდე და მასში ასახოს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ან/და მოდული/მოდულები.

საჭიროა დაწესებულებამ განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტერმინოლოგია თანხვედრაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა სამართლიანობის და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; ასევე თითოეულ პროფესიული სტუდენტს შესთავაზოს ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად განკუთვნილი ხარისხიანი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასთვითრეალიზაციის პერსპექტივითა და შემდგომი დასაქმების უზრუნველყოფით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- -----

VIII. სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროფესიულ კოლეჯს წარმოდგენილი აქვს "ვებტექნოლოგიების", "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 27 მაისის N2/19 ბრძანებით, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 24 მაისის N01/19 ოქმის საფუძველზე. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 19-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით *„საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი თანდართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნით წარედგინება აკადემიურ საბჭოს, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად“.* თუმცა ამავე მუხლის 9.2 ქვეპუნქტის მიხედვით აკადემიური საბჭო *„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის პროგრამებს, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს“.* დაწესებულების განმარტებით მარეგულირებლის მე-4 მუხლის 9.2 ქვეპუნქტი არასწორად არის ფორმულირებული და მითითებული უნდა იყოს, რომ აკადემიური საბჭო *„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით დირექტორს დასამტკიცებლად გადასცემს შესაბამის პროგრამებს, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-5 მუხლის 5.6 ქვეპუნქტის მიხედვით დირექტორი ინდივიდუალური-ადმინისტარციული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამისა და მოდულების შემუშავების და მოდიფიცირების, ადაპტირების წესებსა და ფორმებს, თუმცა აღნიშული ფორმა დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული "ვებტექნოლოგიების", "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამების მე-7 პუნქტების ჩანაწერი არ შეესაბამება ამავე პუნქტის ცხრილს, კერძოდ:

- "ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში მითითებულია, ჩარჩო დოკუმენტის ზოგადი ჩანაწერი - *„ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით და 2 არჩევით მოდულს 4 კრედიტის მოცულობით".* აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება ამავე პუნქტის ცხრილს, რადგან დაწესებულებას დამატებული არ აქვს არჩევითი მოდულები.
- "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მე-7 პუნქტებში არსებული ჩანაწერები არ ასახავს ინფორმაციას საერთო პროფესიული მოდულების რაოდენობის და კრედიტების შესახებ, თუმცა კრედიტების ჯამური რაოდენობა სწორად არის დაანგარიშებული და აღნიშნული საერთო პროფესიული მოდულები შეტანილია ამავე პუნქტის ცხრილში.

აღსანიშნავია, რომ სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დამტკიცების ბრძანების ნომერი ნაცვლად N2/19-სა მითითებულია N2. ასევე, "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამების მე-4 პუნქტში, პროგრამის მიზანთან ერთად იკითხება ზოგადი ჩანაწერი „პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას".

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია და სტრუქტურა. პროგრამებს თან ახლავს შესაბამისი მოდულები (მათ შორის ქართული ენის მოდულები), სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 20[illegible]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულების წინაპირობები და პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, გარდა "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის სასწავლო გეგმაში „Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა“ მოდულის სწავლება დაგეგმილია მის წინაპირობა მოდულთან „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ პარალელურად.

სამივე პროგრამისთვის წინაპირობა მოდულებს შორის არის მინიმუმ ერთ კვირაზე მეტი დროის შუალედი. სასწავლო გეგმის მიხედვით, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

"კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი შეესაბამება მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამს გარდა ორი მოდულისა:

1) „კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრის“ მოდულის დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ცდომილებით არის გადატანილი სასწავლო გეგმაში, დამოუკიდებელი საათების ჯამი 32-ის ნაცვლად არის 34.
2) „ქართული ენა B1-ი“ მოდულის საკონტაქტო საათების ჯამი 295-ის ნაცვლად არის 296.

"ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი შეესაბამება მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამს გარდა „ქართული ენა B1-ისა“, აღნიშნული მოდულის საკონტაქტო საათების ჯამი 295-ის ნაცვლად 296.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულები და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართები არ არის სრულად ადაპტირებული, კერძოდ:

<u>სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის დანართი</u>

- არ არის გაფორმებული შესაბამისი ბრძანების რეკვიზიტებით (არ აქვს სატიტულო გვერდი);
- მატერიალური რესურსის მახასიათებლებში მითითებულია ზოგადი ჩანაწერები (მაგ. მინიმუმ 4 ბირთვიანი პროცესორი, არანაკლებ 320GB ვინჩესტერი, რეკომენდირებულია SSD ტიპის ვინჩესტერი და ა.შ.);
- "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამების შემთხვევაში არ არის შეტანილი არჩევითი მოდულების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი მოდულების განყოფილებაში შეტანილია ისეთი მოდულები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში არ შედის (ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რაოდენობრივი წიგნიერება, მეწარმეობა 1, სამოქალაქო განათლება);

- "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის შემთხვევაში არ არის შეტანილი ინფორმაცია პროფესიული მოდულის "ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება" შესახებ.

<u>მოდულები</u>

- დამტკიცებული მოდულების დამხმარე ჩანაწერების 3.1 პუნქტებში - „დამატებითი მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით" გვხვდება ზოგადი ჩანაწერები, როგორიცაა: „მიზანშეწონილია", „რეკომენდირებულია", „სასურველია".
- დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, თუმცა „გაცნობითი პრაქტიკის", „პრაქტიკული პროექტის" და „საწარმოო პრაქტიკის" მოდულებში არ არის მითითებული ინფორმაცია სასწავლო ექსკურსიების ან სწავლის შედეგების საწარმოში განხორციელების შესახებ.
- დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულები არ არის გაფორმებული ბრძანების შესაბამისი რეკვიზიტებით.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მოდულებში მითითებულია მოდულის განმახორციელებელი პირები. აღსანიშნავია, რომ "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" ორი მოდულისათვის („ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება" და „ქსელური უსაფრთხოება და მონიტორინგი") პროგრამის განმახორციელებელი პირების დანართში მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებელი განსხვავდება მოდულებში მითითებულისგან. დაწესებულების განმარტებით, ორივე პირი არის აღნიშნულ მოდულების განმახორციელებელი და ორივე პირი უნდა იქნას შეტანილი ორივე დოკუმენტში.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს. მათი განმარტებით, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლები იცნობენ მოდულის სტრუქტურას, თუმცა ნაკლებია მოდულების განხორციელების პრაქტიკული ცოდნა და საჭირო დოკუმენტების (კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების შეგროვების მექანიზმები) შექმნის შესახებ წარმოდგენა. განმახორციელებლების განცხადებით, მათ აქვთ სწავლების გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ფიქრობენ, რომ ადვილად შეძლებენ პროფესიულ სწავლებაში ადაპტირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან. ა(ა)იპ "ინტერნეტის განვითარების ინიციატივა", შპს "გრინ სისტემს", შპს "ითვორქს", შპს "ლემონდუ ბიზნესი", შპს "მბს", შპს "პისი ქორნერ", შპს "სინტაქსი", შპს "უნარების განვითარების ონლაინ ცენტრი", შპს "აიტიკრაფტი" და შპს "ორიენტ ლიჯიკი". მემორანდუმების მიზანია სტუდენტების სტაჟირება/გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მემორანდუმები არის ზოგადი სახის და არ არის მითითებული რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელი მოდულის ფარგლებშია დადებული, ასევე არ არის მითითებული გაფორმების თარიღი და სტუდენტების რა რაოდენობის მიღება შეუძლია კომპანიას ერთდროულად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს შემდეგი პრაქტიკის ობიექტები: შპს "გრინ სისტემს", შპს "ლემონდუ ბიზნესი" და შპს "ორიენტ ლოჯიკი". პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული კომპანიები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისთვის „საწარმოო პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულების გატარება. კომპანიის წარმომადგენლები იცნობენ მოდულების სტრუქტურას, თუმცა განხორციელების პრაქტიკა არ ჰქონიათ. მათი განმარტებით, ისინი კოლეჯის წამომადგენლებთან ერთად შეიმუშავებენ შეფასების ფორმას, რომელსაც გამოიყენებენ სწავლის შედეგების დადასტურებისთვის. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შესაძლებელია საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელება.

შპს "გრინ სისტემს" შეუძლია ერთდროულად 40-მდე პროფესიული სტუდენტის მიღება "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „პრაქტიკული პროექტის“ და „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულების ფარგლებში, შპს "ლემონდუ ბიზნესს“ შეუძლია 30-მდე პროფესიული სტუდენტის მიღება "ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „პრაქტიკული პროექტის“ ფარგლებში და შპს "ორიენტ ლიჯიკს“ შეუძლია უზრუნველყოს ერთდროულად 15-მდე პროფესიული სტუდენტის მიღება სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პრაქტიკული პროექტის“ და „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულების ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტი (ბრძანება N2/19, 27.05.2019);
2. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

3. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
5. პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი;
6. ინტერვიუ.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
[redacted] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია 2019 წლის კატალოგი, რომელშიც განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, და ანონსის სახით მითითებულია, რომ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში დაწესებულება განახორციელებს "ვებტექნოლოგიების", "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" და "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კატალოგში მითითებულია აღნიშნული პროგრამის ქვესტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია - მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტებისა და შეფასების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის კატალოგი;
2. დაწესებულების ვებგვერდი - http://ugcollege.ge/

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 და 2018 წლის 12 ივნისის N495/ი ბრძანებებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N80/ი და N88/ი ბრძანებებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები (ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 და 2018 წლის 12 ივნისის N495/ი ბრძანებები).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება", სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის მიღებული განათლების და არაფორმალური განათლების აღიარების წესები.

მარეგულირებელი დებულების 30-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით *„უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. დამატებითი შეფასება ინიშნება არანაკლებ 5 დღიანი ვადის გასვლისას".* ამავე მუხლის მე-8 მუხლის მიხედვით *„დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიაღწიოს სწავლის შედეგებს პროგრამის დასრულებამდე".* აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ დებულებაში არ არის მითითებული რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის დამატებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასების მოთხოვნის უფლება, ასევე თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, დამატებითი შეფასების დროს უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში რა პირობები იმოქმედებს.

დაწესებულების განმარტებით, სტუდენტს მხოლოდ ერთხელ ექნება დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება. დამატებითი შეფასების დროს უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობა არ იქნება, სტუდენტი გააგრძელებს სხვა მოდულებზე სწავლას, ხოლო თუ სხვა მოდულის წინაპირობა იქნება, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მოდულებს გაივლის, რომლებსაც წინაპირობა არ ექნებათ, ან დაუდასტურებელი მოდული არ იქნება მათი წინაპირობა.

მარეგულირებელი დებულების 26-ე მუხლის მიხედვით პროგრამის დასრულება პროფესიული სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, ხოლო სწავლის შედეგის მიუღწევლობა არ არის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. ამავე მარეგულირებლის 34-ე მუხლის I-ლი პუნქტის მიხედვით - *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი“.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სტუდენტი წინაპირობა მოდულის სწავლის შედეგების განმსაზღვრელ დამატებით შეფასებაზე უარყოფით შედეგს მიიღებს, მას პროგრამა დასრულებულად არ ეთვლება, თუმცა სტატუსი არ უწყდება და აგრძელებს სწავლას პროგრამაზე. დაწესებულების განმარტებით, ასეთ შემთხვევაში კოლეჯი საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს გააგრძელოს სწავლა არსებულ ჯგუფში და დაესწროს ლექციებს, გარდა იმ მოდულისა/მოდულებისა, რომლის წინაპირობა მოდული ვერ დაძლია. ხოლო აღნიშული დაუდასტურებელი მოდულის სწავლის შედეგების განმეორებით მიღწევის შესაძლებლობა ეძლევა მომდევნო მიღების სხვა აკადემიურ ჯგუფში.

დაწესებულებას ამავე მარეგულირებელი დებულების მუხლი 27-ის მე-2 პუნქტში აქვს „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესთან“ დაკავშირებული ჩანაწერი. რეგულაციებში არ არის ასახული არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები, ასევე არ იძებნება „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლებისა აღიარების წესთან“ დაკავშირებული ჩანაწერები.

ზემოთხსენებულ მარეგულირებელ დებულებაში გამოყენებულია ისეთი ტერმინოლოგია, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს (მაგ: საგნობრივი პროგრამები, საფეხური, პროფესიული სწავლების სტუდენტი, შუალედური და დასკვნითი შეფასება), ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

მითითებულია შეფასების სისტემა, რომელიც არ გამოიყენება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (მაგ: მუხლი 30.1 - სასწავლო კომპონენტი დაძლეულია თითოეული კურსის მოდულით,გათვალისწინებული შეფასების 51 %-ის დაგროვების შემთხვევაში).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
2. ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 21-ე მუხლში არის ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმების შესახებ. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით - მიმდინარე ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან" და სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიასთან".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
2. კოლეჯებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, რომელიც ხორციელდება ორ ეტაპად პროგრამის მიმდინარეობისას და პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით/ინტერვიუირებით. შეფასების მიმართულებებია: სასწავლო პროცესის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა პროფესიული სტუდენტებისთვის, სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა პროფესიული სტუდენტებისთვის, კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და კოლეჯში მიღებული განათლების შეფასების ფორმა პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის. აღსანიშნავია, რომ რეგულაციებში არ არის მითითებული რა ფორმით ტარდება გამოკითხვები. ასევე გამოყენებულია ისეთი ტერმინოლოგია, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს (მაგ: საგანი, სემესტრი, კურსი, კურიკულუმი, ლექტორი).

რეკომენდაცია: დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში მიუთითოს რა ფორმით ჩაატარებს გამოკითხვებს და ტერმინოლოგია შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა
2. შეფასების ფორმები და კითხვარები

შეფასება:

- ▩ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ❑ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას 2019 წლის 24 მაისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „საქართველოს უნივერისტეტთან", რომლის მიხედვითაც დროებით სარგებლობაში იღებს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის N5ა-ში მდებარე 553,4 კვ.მ ფართს. ფართი მოიცავს ხუთ სართულიანი შენობის მე-4 და მე-5 სართულებს. იჯარის ვადა განისაზღვრება 3 წლით. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, 2019 წლის 20 ივნისს ქვემეიჯარე შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა" და ქვემოიჯარე შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს" შორის დადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც „ქვემეიჯარე" იღებს ვალდებულებას ქვეიჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, უზრუნველყოს „ქვემოიჯარე" რელევანტური სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ალტერნატიული ფართით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2019 წლის 24 მაისს დაწესებულებას გაფორმებული აქვს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც კოლეჯს აქვს ლიფტით და მეორე სართულზე განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილით სარგებლობის უფლება. შეთანხმების მიხედვით ადაპტირებული სველი წერტილის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კოლეჯის მიერ.

აღნიშნული ხელშეკრულება ვიზიტის პერიოდში არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა განცხადება უძრავ ქონებაზე ქვეიჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციისთვის, აღნიშნული განცხადება მიღებული იქნა რეესტრის მიერ 2019 წლის 21 აგვისტოს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	თორნიკე ერისთავის N5ა	553,4

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულება (24.05.2019);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

2. ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დადებული შეთანხმება (20.06.2019);
3. საჯარო რეესტრში შეტანილი განცხადება ([redacted] 21.09.2019).

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

[redacted] ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო ფართი აღჭურვილია "ვებტექნოლოგიების", "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც თანხვედრაში აღნიშნული პროგრამების „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის" დანართებთან. აღნიშნული ინვენტარი დაწესებულებას სარგებლობაში აქვს შპს „საქართველოს უნივერისტეტთან" გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების და ამავე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული შეთანხმების საფუძველზე.

დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ოთხი სასწავლო აუდიტორია:

აუდიტორია N1 - A გარემო - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია 31 მაგიდა და სკამი (მათ შორის მასწავლებლის), 1 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 დაფა.

აუდიტორია N2 - B/C გარემო - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. აუდიტორიაში განთავსებულია 16 მაგიდა და სკამი (მათ შორის მასწავლებლის), 16 პერსონალური კომპიუტერი (მათ შორის მასწავლებლის), 1 პროექტორი, 1 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 დაფა, მაგიდა კომპიუტერების დაშლა-აწყობისთვის და აღნიშნული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი აღჭურვილობები.

აუდიტორია N3 - B/C გარემო - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. აუდიტორიაში განთავსებულია 16 მაგიდა და სკამი (მათ შორის მასწავლებლის), 16 პერსონალური კომპიუტერი (მათ შორის მასწავლებლის), 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

პროექტორი, 1 დაფა და აღნიშნული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი აღჭურვილობები.

აუდიტორია N4 - B გარემო - "ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. აუდიტორიაში განთავსებულია 16 მაგიდა და სკამი (მათ შორის მასწავლებლის), 15 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პროექტორი, 1 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 დაფა და აღნიშნული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი აღჭურვილობები.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი იძლევა საშუალებას სწავლება განხორციელდეს შეუფერხებლად თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულება (24.05.2019);
2. ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დადებული შეთანხმება (24.05.2019);
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სველი წერტილები განლაგებულია დაწესებულების ორივე სართულზე, ასევე შენობის მეორე სართულზე განთავსებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის და გაგრილების სისტემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება (მათ შორის ელექტროენერგიის, წყლით მომარაგების, დასუფთავების) აქვს ქვემეიჯარეს (შპს „საქართველოს უნივერსიტეტი). 2019 წლის 30 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულებაში შესულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი აირის კომუნალურ გადასახადების გადახდის ვალდებულებაც ქვემეიჯარეს ეკისრება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულება (24.05.2019);
2. ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დადებული შეთანხმება (24.05.2019);
3. ქვეიჯარის ხელშეკრულებაში ცვლილება (30.05.2019);
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მეხუთე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გადაამოწმეს აღნიშნული პროგრამების მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ მატარებელზე. ელექტრონული ლიტერატურა ჩაწერილია CD დისკებზე, ელექტრონულ წამკითხველ Kindle-ში, ბიბლიოთეკაში არსებულ პორტატულ კომპიუტერებში და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში.

დაწესებულებას აქვს ელექტრონული პლატფორმა, რომელიც შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ ბაზაზე ფუნქციონირებს, თუმცა კოლეჯის ნაწილი გამიჯნულია უნივერსიტეტის ნაწილისგან. ონლაინ პლატფორმის საშუალებით შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს ქონდეთ დამოუკიდებელი ანგარიშები. აღნიშნულ პლატფორმაზე დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მარტივად მოიძიონ სასურველი ლიტერატურა და გაეცნონ ონლაინ რეჟიმში.

დაწესებულებას დირექტორის 2019 წლის 25 მაისის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკის საქმიანობას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან, რომელსაც აქვს ბიბლიოთეკის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. ბიბლიოთეკის დებულების მე-5 მუხლის მიხედვით „ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-19:00 პერიოდში, შაბათს - 10:00-15:00 პერიოდში". დაწესებულების განმარტებით, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში აპირებენ ბიბლიოთეკარის დამხმარის პოზიციაზე კადრის აყვანას და მათ შორის სამუშაო დროის განაწილებას.

ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია 3 დიდი მაგიდა, 6 სკამი, 2 კარადა, 3 პორტატული კომპიუტერი (Laptop), ელექტრონული წამკითხველი Kindle და მულტიფუნქციური პრინტერი. დაწესებულებას თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გაწერილია ბიბლიოთეკის დებულებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
2. CD დისკებზე და ელექტრონულ წამკითხველ Kindle-ში, ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
3. ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის და კოლეჯის მართვისთვის იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. დაწესებულებას აქვს 51 ცალი სათანადო პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერი, აქედან 3 ცალი ადმინისტრაციული მიზნებისთვის; 8 ცალი პორტატული კომპიუტერი, აქედან 4 ცალი ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

მიზნებისთვის; 5 ცალი მულტიფუნქციური პრინტერი, აქედან 1 ცალი ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, საკაბელო და უკაბელო შიდა ქსელით (WiFi). აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ყველა სართულზე განთავსებულია უკაბელო წვდომის წერტილები (AP).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულება (24.05.2019);
2. ქვეიჯარის ხელშეკრულებაში ცვლილება (30.05.2019);
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2019 წლის 25 მაისის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს კოლეჯის საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ახორციელებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას. ბრძანებების აღრიცხვა ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში შესაბამისი ნუმერაციით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს ბრძანებათა ჟურნალი, რომლებიც დაწესებულების საქმისწარმოების წესის და საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისია.

დაწესებულებას აქვს შიდა ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება კორესპონდენცია პროფესიულ სტუდენტთან და კოლეჯის პერსონალთან. გარედან შემოსული დოკუმენტაციის ბრუნვა ხდება მატერიალური დოკუმენტ ბრუნვის სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქმისწარმოების წესი (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
2. ბრძანებათა ჟურნალი;
3. ელექტრონული პორტალი;
4. ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

❑ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დირექტორის 2019 წლის 25 მაისის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი", რომელიც მოიცავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმებს.

ა) საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები. საგანგებო ვითარების დროს უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია დაუკავშირდეს შესაბამის უწყებებს (სახანძრო სამსახური, პატრული, სასწრაფო და სხვ.) და უზრუნველყოს შესაბამისი წესების დაცვით შენობის უსაფრთხოდ დატოვება (მუხლი 2 - უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები). ცეცხლმაქრები (11 ერთეული) და საევაკუაციო აბრები მოწოდებული და დამონტაჟებულია შპს პაირექსი-ს მიერ, ასევე შპს პაირექსი-ს მიერ გაწეულია საევაკუაციო პროექტირების მომსახურება.

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა.

გ) „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის" მე-3 მუხლის მიხედვით კოლეჯში მოქმედებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი - ექიმი. დაწესებულებაში მე-4 სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო საშუალებები. ასევე ყველა სართულზე გამოკრულია მინი სამედიცინო ყუთი, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო სპირტი, ბინტი და რამდენიმე მედიკამენტი.

დ) „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის" მე-2 მუხლის მიხედვით აღწერილია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ განსახორციელებელი წესრიგის დაცვის უზრუნველმყოფელი მექანიზმები. მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დათვალიერება, შენობაში შემოსვლა/დაშვების რეგულირება, შესაძლო დარღვევის შემთხვევაში ოქმის შედგენა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 30 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულებაში შესული ცვლილების მიხედვით უსაფრთხოებისა და დასუფთავების უზრუნველყოფის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის ანაზღაურების ვალდებულება აქვს ქვემეიჯარეს (შპს „საქართველოს უნივერსიტეტი").

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა;
2. ქვეიჯარის ხელშეკრულებაში ცვლილება (30.05.2019);
3. ექიმის პირადი საქმე;
4. გასაუბრება;
5. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო და სასწავლებლის შენობასთან თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა. კოლეჯს პირველ სართულზე შესასვლელად აქვს სპეციალურად მოწყობილი პანდუსი შშმ პირებისათვის, შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია შშმ პირთა გადაადგილება. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის გამოყენებაც ხდება მხოლოდ კოლეჯის მიერ, შპს „საქართველოს უნივერისტეტთან" გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების ფარგლებში დადებული შეთანხმების საფუძველზე. სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და დაწესებულების ადმინისტრაცია. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულება (24.05.2019);
2. ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დადებული შეთანხმება (24.05.2019);
3. ვიზუალური დათვალიერება;
4. ინტერვიუ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

1ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი http://ugcollege.ge/ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებგვერდზე განთავსებულია სიახლეები და საკონტაქტო ინფორმაცია. მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამები, სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ და დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ვებგვერდიდან შესაძლებელია დაწესებულების ონლაინ სივრცეში გადასვლა პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მომხმარებლით ავტორიზაციის შემდეგ.

ვებ გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. მოცემულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდის დომენის ფლობის/გამოყენების დოკუმენტი ვერ იქნა იდენტიფიცირებული, დაწესებულების განმარტებით დომეინის სარგებლობის უფლებას აძლევს დამფუძნებელი შპს „საქართველოს უნივერსიტეტი", თუმცა აღნიშნული ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება.

კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია "მართვის კოლეგიური ორგანოები", სადაც შედის: დამფუძნებელ პარტნიორთა კრება, დავის განმხილველი საბჭო, დირექტორის საბჭო, აკადემიური საბჭო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

კოლეჯის მიერ ამავე დებულების N1 დანართის მიხედვით დამტკიცებულ სტრუქტურაში მართვის ორგანოებში შედის დაწესებულება და დირექტორი, რაც თანხვედრაში არ მოდის მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულ მართვის კოლეგიალურ ორგანოებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებგვერდი - http://ugcollege.ge/
2. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
3. დაწესებულების სტრუქტურა

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი (2019-2025) სტრატეგიული და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან, მასში მითითებულია ორი სტრატეგიული მიზანი, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციას, პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციას. წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნებისთვის განსაზღვრულია ინდიკატორები და შემოწმების მექანიზმები ამოცანებზე პასუხისმგებელი ორგანოების მითითებით. გეგმაში ასევე შეტანილია კოლეჯის ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა (ისტორია), საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული მიზნები არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დაწესებულებას სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 2019-2020 სასწავლო წლებს. სამოქმედო გეგმაში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია შესასრულებელი ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები თვეების მიხედვით. აღნიშნულ აქტივობებზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროფესიული კოლეჯის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (01.09.2019 - 01.09.2025);
2. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროფესიული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (01.09.2019 - 01.09.2020);

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დირექტორის 2019 წლის 25 მაისის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები", სადაც გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალი/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დამტკიცების პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-2 თავი განსაზღვრავს კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია ან/და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულებას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დანართი N1-ის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით *„პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორი იღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე".* დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული კომისიის დასკვნა. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული რეგულაციით იხელმძღვანელებენ ახალი თანამშრომლების მიღების დროს და პირველადი პერსონალის მიღება უზრუნველყო დამფუძნებელმა შპს „საქართველოს უნივერსიტეტმა" 2019 წლის 1 აპრილს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სადაც მითითებულია: *„უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯი მის მიერ განსაზღვრული პროგრამების შემუშავებისთვის/განხორციელებისთვის რელევანტური პერსონალით".*

დაწესებულებას ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები დანიშნულნი არიან დირექტორის ბრძანებებით და მათთან ასევე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

1. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
2. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
3. შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან" გაფორმებული მემორანდუმი (01.04.2019);
4. გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---- ----------

თბილისი, 2019

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

"ვებტექნოლოგიების", "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" და "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მოთხოვნილი კონტიგენტი შეადგენს 45 პროფესიულ სტუდენტს. თანაფარდობა შეადგენს 3-ს (45/15).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
2. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დირექტორის 2019 წლის 25 მაისის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დანართ N1-ში განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულია იდენტური ფორმისა და შინაარსის შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც თარიღდება 2019 წლის 1 მაისით. ასევე დირექტორის 2019 წლის 15 აპრილის N01/2/19 ბრძანებით აღნიშნული მასწავლებლები დანიშნულნი არიან პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

დაწესებულებას პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 2020 წლის 1 მაისამდე, ხელშეკრულებები აკმაყოფილებს შრომის კოდექსის არსებით პირობებს, თუმცა არ არის მითითებული ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და იმ მოდულის/მოდულების შესახებ, რომელიც უნდა განახორციელონ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებებში ფიქსირდება ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (მაგ. სილაბუსი).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
2. განამხორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
3. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დებულება (ბრძანება N1/19, 25.05.2019);
4. დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მასწავლებლების დანიშვნის შესახებ (ბრძანება N01/2/19, 15.04.19).

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ვებტექნოლოგიები (მოდულური)	მე-4 დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში **0612**	63	93	ქართული	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ა	0	15
2	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური)	მე-4 დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში **0612**	95	125	ქართული	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ა	0	15
3	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური)	მე 5 დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში **0612**	117	147	ქართული	თბთბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N5ა	0	15

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი;

.....

თარიღი 23.09.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019